

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კულტურული მემკვიდრეობის
საბჭო

N 03-07/1

„24“ ანგულო 2019 წელი ქ. ბათუმი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურიდან 2018 წლის 11 დეკემბრის №25/22032 კორესპონდენციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი იქნა ქალაქ ბათუმში, ხულოს ქუჩა №13/15-ში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.21.33.005) საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე. განმცხადებელი: ოვანეს მაზმანიანი.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს (შემდგომში _ საბჭო) მიერ ოქმი №03-06/01 (16.01.2019წ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №18 დადგენილების შესაბამისად.

საბჭომ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ქ. ბათუმში, ხულოს ქუჩა №13/15-ში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ:05.21.33.005) საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დოკუმენტაცია (პირველი ეტაპი).


საბჭოს წევრები:

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორი - სხდომის თავმჯდომარე - ზაურ ახვლედიანი

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორის მოადგილე - ოლეგ ბოლქვაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური
ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი - ნუგზარ ძნელაძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი - დავით ზოიძე



სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
უფროსი მასწავლებელი - ზვიად ბურჭულაძე



სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური
ფაკულტეტის დეკანი - გაიოზ ფარცხალაძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კულტურული მემკვიდრეობის
საბჭო

N. 03-07/2

„24“ აგვისტო 2019 წელი ქ. ბათუმი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურიდან 2018 წლის 21 დეკემბერს №25/22847 კორესპონდენციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი იქნა ქ. ბათუმში, ალ. პუშკინის ქუჩა №102-104-ში მდებარე 362 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.28.03.036) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის მიზნით არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე. განმცხადებელი: მერაბ აბესლამიძე.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს მიერ ოქმი №03-06/01 (16.01.2019წ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 52 მუხლის მესამე პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №18 დადგენილების შესაბამისად.

საბჭომ გადაწყვიტა:

შეთანხმებულ იქნას კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ქალაქ ბათუმში, ალ. პუშკინის ქუჩა №102-104-ში მდებარე 362 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ:05.28.03.036) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის მიზნით არქიტექტურული პროექტი.

საბჭოს წევრები:

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორი - სხდომის თავმჯდომარე - ზაურ ახვლედიანი

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორის მოადგილე - ოლეგ ბოლქვაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი

